ÊÀÍ Ï ÍÉ # 2263-ÒÓ - ÓÀØÀÒÈÅÄË Ï Ó ÊÀÍ Ï ÍÉ ÐÀÔÉÌÒ Ï ÁÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

მიღებულია - 22.07.1999 წ *ძალაშია - 01.01.2000 წ*

29.01.2008 წ - მდგომარეობით

მიმღები: პარლამენტი

ეხება დარგებს: აღმინისტრაციული სამართალი , სხვადასხვა , მოქალაქეთა უფლებები

ÊÀÒÉ # 1 - Æ Ï ÂÀÃÉ ÍÀßÉËÉ

ÈÀÅÉ # 1 - Æ Ï ÂÀÃÉ ÃÄÁÖ Ë ÄÁÀÍÉ

ÌÖáËÉ # 1 - ÊÀÍ Ï ÍÉÓ Ì Ï ØÌÄÃÄÁÉÓ Ó×ÄÒ Ï

1. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემას და სტრუქტურას, აღსრულების პრინციპებსა და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

2. პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა შედგება ამ კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2'. საქართველოს იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოსცეს ბრძანება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონის დებულებებს.

3. პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ÌÖáËÉ # 2 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ØÅÄÌÃÄÁÀÒÄ ÂÀÃÀßÚÅÄÔÉËÄÁÄÁÉ

ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულდება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ÈÀÅÉ # 2 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ Ï ÒÂÀÍ Ï ÄÁÉÓ ÓÉÓÔÄÌÀ

ÌÖáËÉ # 3 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ Ï ÒÂÀÍ Ï ÄÁÉ

სასჯელაღსრულების ორგანოებია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და მასში შემავალი სასჯელაღსრულების დაწესებულებები

ÌÖáËÉ # 4 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÄÐÀÒÔÀÌÄÍÔÉ

1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), წარმოადგენს სასჯელაღსრულების ორგანოს, რომელიც შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში _ იუსტიციის სამინისტრო) გამგებლობაში როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომში - იუსტიციის მინისტრი).

3. დეპარტამენტის დებულებას და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

4. დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ნაწილს.

ÌÖáËÉ # 5 - ÃÄÐÀÒÔÀÌÄÍÔÉÓ ÀÍÂÀÒÉÛÅÀËÃÄÁÖËÄÁÀ

დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია იუსტიციის მინისტრის წინაშე. დეპარტამენტის თავმჯდომარე წელიწადში ორჯერ მაინც იუსტიციის მინისტრს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ÌÖáËÉ # 6 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÄÁÉ ÃÀ ÌÀÈÉ ÓÀáÄÄÁÉ

1. სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთას აღასრულებენ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულებას საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის და აუქმებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

3. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სასჯელაღსრულების დაწესებულებებია:

ა) საერთო რეჟიმის დაწესებულება;

ბ) მკაცრი რეჟიმის დაწესებულება;

გ) საპყრობილე.

4. თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელსაც განაჩენის გამოტანის დროისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, ათავსებენ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.

5. სასჯელაღსრულების დაწესებულების დებულებას და შინაგანაწესს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

ÌÖáËÉ # 7 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ áÄËÌÞÙÅÀÍÄËÉ

სასჯელაღსრულების დაწესებულებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

ÌÖáËÉ # 8 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓÀ ÃÀ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÃÀÝÅÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და მსჯავრდებულებს იცავენ გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურები, რომელთა დებულებებს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. სპეციალური დაცვის სამსახურის ამოცანები და მისი შინაგანაწესი განისაზღვრება ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. გარე დაცვის სამსახურის მოსამსახურე არის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირი. გარე დაცვის სამსახურში შეიძლება ჩაირიცხოს წვევამდელი, რომლის სამსახურის ვადა განისაზღვრება "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით. სპეციალური დაცვის სამსახურში წვევამდელის მიერ სამსახურის გავლა ჩაითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლად და სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ იგი საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩაირიცხება რიგითის სამხედრო წოდებით. სპეციალური დაცვის სამსახურში ჩასარიცხ პირთა შერჩევისა და მათ მიერ სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

2'. გარე დაცვის სამსახურის მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით.

3. ცალკეულ შემთხვევებში დეპარტამენტის თავმჯდომარეს დეპარტამენტთან ან სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან შეუძლია შექმნას გაძლიერებული დაცვის ჯგუფები განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად.

4. დადგენილი წესით სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა სახის ტექნიკური კონტროლის საშუალებები დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს მსჯავრდებულები დაცვისა და კონტროლის ამ საშუალებების გამოყენების თაობაზე.

ÌÖáËÉ # 9 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÏÌáÃÀÒÉ ÃÀÍÀÛÀÖËÉÓ ÂÀÌÏÞÉÄÁÀ ÃÀ ÏÐÄÒÀÔÉÖË-ÓÀÌÞÄÁÒÏ ÓÀØÌÉÀÍÏÁÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, რომელთა ამოცანაა დაწესებულების მოსამსახურეების და სხვა პირების, ასევე მსჯავრდებულთა პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დაწესებულებებში მომხდარი დანაშაულის გამოვლენა და გახსნა; სასჯელის მოხდის დადგენილი წესის დარღვევისა და დანაშაულის მზადების სტადიაში მისი აცილება; დადგენილი წესით იმ მსჯავრდებულთა ძებნა, რომლებიც გაიქცნენ დაწესებულებიდან; ურთიერთმოქმედება სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან მათი კომპეტენციის ფარგლებში იმ დანაშაულთა გამოვლენა - გახსნაში, რომლებიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებამდე. ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობას ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახური, კანონით დადგენილი წესით.

3. სამსახურის დებულებას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

ÌÖáËÉ # 10 - ÆÄÃÀÌáÄÃÅÄËÏÁÀ ÓÀÓãÄËÉÓ ÌÏáÃÀÆÄ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÈÀÅÉ # 3 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÏÒÂÀÍÏÓ ÌÏÓÀÌÓÀáÖÒÄÁÉ, ÌÀÈÉ ÓÀáÄËÌßÉ×Ï ÃÀÝÅÀ, ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÂÀÒÀÍÔÉÄÁÉ ÃÀ ÐÀÓÖáÉÓÌÂÄÁËÏÁÀ

ÌÖáËÉ # 11 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÏÒÂÀÍÏÓ ÌÏÓÀÌÓÀáÖÒÄÁÉ

1. სასჯელაღსრულების ორგანოს მოსამსახურე (შემდგომში - მოსამსახურე) არის საჯარო მოსამსახურე.

2. მოსამსახურეების საშტატო ნუსხას ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

2'. დეპარტამენტის მოსამსახურეებს, გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2". დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს დეპარტამენტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით ან იუსტიციის მინისტრი.

2'". სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მოადგილეებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.

2"". სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეებს, გარდა ამ მუხლის 23 პუნქტით გათვალისწინებული მოსამსახურეებისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.

3. მოსამსახურეთა ატესტაცია ხორციელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. ატესტაციის წესს და პირობებს აღგენს იუსტიციის მინისტრი.

ÌÖáËÉ # 11' - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓÀ ÃÀ ÐÒÏÁÀÝÉÉÓ ÓÀÓßÀÅËÏ ÝÄÍÔÒÉ

1. მოსამსახურეთა ან/და ამ სისტემაში დასაქმების მსურველთა მომზადებას, გადამზადებას ან/და კვალიფიკაციის ამაღლებას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.
2. მოსამსახურე (გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარისა), როგორც წესი, თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ.
3. თუ მოსამსახურე თანამდებობაზე დაინიშნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების

პროგრამის გავლის გარეშე, მან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების პროგრამა უნდა გაიაროს თანამდებობაზე დანიშვნიდან 6 თვის განმავლობაში.

ÌÖáËÉ # 12 - Ì ÏÓÀÌÓÀáÖÒÉÓ ÓÀÌÀÒÈ ËÄÁÒÉÅÉ ÓÔÀÔÖÓÉ

1. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამსახურე არის ხელისუფლების წარმომადგენელი და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად.

2. მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის კანონიერი მოქმედებით გამოწვეულ მატერიალურ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურეს უფლება აქვს ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები. ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების ტარების და გამოყენების წესს აღგენს კანონი.

ÌÖáËÉ # 13 - ÓÀÌÖÛÀÏ ÃÒÏ ÃÀ ÀÍÀÆÙÀÖÒÄÁÀ

მოსამსახურის სამუშაო და დასვენების დრო, აგრეთვე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ÌÖáËÉ # 14 - ÓÀÌÓÀáÖÒÄÁÒÉÅÉ ×ÏÒÌÀ

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურე ატარებს სამსახურებრივ ფორმას.

2. მოსამსახურის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

ÌÖáËÉ # 15 - Ì ÏÓÀÌÓÀáÖÒÉÓÀÈÅÉÓ ÓÀáÄËÌßÉ×Ï ÊÏÌÐÄÍÓÀÝÉÉÓ ÃÀÍÉÛÅÍÀ

მოსამსახურესა და მისი ოჯახის წევრს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ" და "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

ÌÖáËÉ # 16 - Ì ÏÓÀÌÓÀáÖÒÉÓ ÛÅÄÁÖ ËÄÁÀ

1. მოსამსახურის ყოველწლიური ძირითადი შვებულების ვადა განისაზღვრება 30 კალენდარული დღით.

2. მოსამსახურეს სამსახურებრივი სტაჟის გათვალისწინებით ეძლევა დამატებითი შვებულება კანონით დადგენილი წესით.

ÌÖáËÉ # 17 - ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÂÀÒÀÍÔÉÄÁÉ

1. მოსამსახურე ექვემდებარება სახელმწიფო დაზღვევას.

2. მოსამსახურეებზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომელიც განსაზღვრულია "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით.

ÊÀÒÉ # 2 - ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÀÙÊÅÄÈÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÀ ÃÀ ÌÏáÃÀ

ÈÀÅÉ # 4 - ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÀÙÊÅÄÈÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÀ

ÌÖáËÉ # 18 - ÓÀÓãÄËÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÀÃÂÉËÉ

თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები, როგორც წესი, სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ÌÖáËÉ # 19 - ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÀÙÊÅÄÈÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÉÓÀ ÃÀ ÌÏáÃÉÓ ÒÄÑÉÌÉÓ ÂÀÍÓÀÆÙÅÒÀ

1. თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით.

2. ერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეიძლება მოქმედებდეს სასჯელის მოხდის ერთი ან რამდენიმე რეჟიმი.

ÌÖáËÉ # 20 - ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀÀÙÊÅÄÈÉËÉ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÓÀÓãÄËÉÓ ÌÏÓÀáÃÄËÀÃ ÂÀÂÆÀÅÍÀ

1. საპყრობილის ადმინისტრაცია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის ასლის მიღების დღიდან 2 დღის ვადაში ვალდებულია განაჩენის ასლი გაუგზავნოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც 5 დღის ვადაში განსაზღვრავს იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებას, სადაც უნდა გაიგზავნოს მსჯავრდებული. საპყრობილის ადმინისტრაცია თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს სასჯელის მოსახდელად აგზავნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის ასლის მიღების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესსა და პირობებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

2. მსჯავრდებული, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა საერთო ან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით, მისივე წერილობითი თანხმობით, დადგენილი წესით შეიძლება დატოვებულ იქნეს საპყრობილეში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მისი გადაადგილების წესსა და პირობებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

3. სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის საპყრობილეში დატოვება ფორმდება სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ÌÖáËÉ # 21 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÉÙÄÁÉÓ ßÄÓÉ

1. მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ოჯახს დაუყოვნებლივ აცნობოს მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

3. მსჯავრდებულს წერილობითი ფორმით უნდა გააცნონ მისი უფლებები და მისდამი მოსამსახურეების მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები.

4. მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებები, წესები და მოთხოვნები მიეწოდება მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე.

///*ამ მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან*///

ÌÖáËÉ # 22 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÂÀÍÝÀËÊÅÄÄÁÉÈ ÌÏÈÀÅÓÄÁÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ცალკე ათავსებენ:

ა) ქალებს;

ბ) არასრულწლოვანებს;

გ) პირველად მსჯავრდებულებს;

დ) უვადო თავისუფლებააღკვეთილებს;

ე) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში განცალკევებით ათავსებენ შიღსით და სხვა

არამართვადი ინფექციური სენით დაავადებულებს.

3. იუსტიციის მინისტრმა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან შეთანხმებით შეიძლება დააწესოს განცალკევებით მოთავსების სხვა წესი.

ÌÖáËÉ # 23 - ÓÀÓãÄËÉÓ ÌÏáÃÀ

1. თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული სასჯელის მთელ ვადას იხდის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2. მსჯავრდებულის გადაყვანა იმავე რეჟიმის სხვა დაწესებულებაში დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ყოფნა მოცემულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეუძლებელია განსაკუთრებულ გარემოებათა გამო.

3. მსჯავრდებულის გადაყვანის წესი და პირობები განისაზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

ÈÀÅÉ # 5 - ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÀÙÊÅÄÈÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ßÄÓÉ ÃÀ ÐÉÒÏÁÄÁÉ

ÌÖáËÉ # 24 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÒÄÑÉÌÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ყოფნის რეჟიმმა (შემდგომში - რეჟიმი) ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა გამოსწორებას.

2. რეჟიმის ძირითადი პირობებია:

ა) მსჯავრდებულთა იზოლაცია;

ბ) მსჯავრდებულთა მიმართ მუდმივი ზედამხედველობა;

გ) მსჯავრდებულთათვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე კონტროლი;

დ) მსჯავრდებულთათვის მინიჭებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

ე) მსჯავრდებულთა და მათი მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების დაცვა;

ვ) მსჯავრდებულთა განცალკევება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) მსჯავრდებულთათვის რეჟიმის შეცვლა კანონით დადგენილი წესით;

თ) მსჯავრდებულთა მიმართ კანონით დადგენილი შეღავათების გავრცელება.

3. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ყოფნა რეგლამენტირებულია შინაგანაწესით.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შინაგანაწესის დაცვის მიზნით დასაშვებია მსჯავრდებულთა და მათი მოთავსების ადგილის შემოწმება.

5. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მოახდინოს იმ პირთა ნივთებისა და ტანსაცმლის გასინჯვა, რომლებიც შედიან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან გადიან იქიდან.

6. იმ ნივთებისა და საგნების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებულს, განსაზღვრავს სასჯელაღსრულების დაწესებულების დებულება. ფული ან სხვა ფასეულობანი მსჯავრდებულს ჩამოერთმევა და გადაეცემა შესანახად სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას. ფულის ან სხვა ფასეულობათა ჩამორთმევა ხდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ÌÖáËÉ # 25 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓÀÈÅÉÓ ÒÄÑÉÌÉÓ ÐÉÒÏÁÄÁÉÓ ÛÄÝÅËÀ

1. მსჯავრდებულს, მისი ქცევისა და სამუშაოსადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით, შეიძლება შეეცვალოს რეჟიმის პირობები, როგორც ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ასევე სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანით.

2. პირობების შეცვლა ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების ფარგლებში შეიძლება მოხდეს ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

3. მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ამ კანონით დადგენილი წესით.

4. დეპარტამენტის თავმჯდომარეს მსჯავრდებული ნაკლებად მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაჰყავს ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას, ან მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით.

5. თუ დეპარტამენტის თავმჯდომარე უარს იტყვის მსჯავრდებულის გადაყვანაზე ნაკლებად მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

6. დეპარტამენტის თავმჯდომარეს მსჯავრდებული შედარებით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაჰყავს ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას.

7. მსჯავრდებულის გადაყვანა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასაშვებია 3 წლამდე ვადით, ხოლო საპყრობილეში - 1 წლამდე ვადით.

8. დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადები გააგრძელოს 1 წლამდე ვადით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს შეუძლია შესაბამისი წარდგინებით მიმართოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებულს გაუგრძელეს რეჟიმის შეცვლის ვადა.

ÈÀÅÉ # 6 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ Ö×ËÄÁÄÁÉ ÃÀ ÌÏÅÀËÄÏÁÄÁÉ

ÌÖáËÉ # 26 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ Ö×ËÄÁÄÁÉ

1. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს:

ა. ა) საცხოვრებელი სადგომით, კვებით, ტანსაცმლითა და შრომის უსაფრთხოებით;

ა. ბ) სამედიცინო დახმარებით და მომსახურებით;

ა. გ) დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრით;

ა. დ) სატელეფონო საუბრებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციის კონტროლით, აგრეთვე მიმოწერით;

ა. ე) ბანდეროლებისა და ამანათების მიღება-გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით, გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა;

ა.ვ) ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით;

ბ) შეიტანოს საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე;

გ) მიიღოს ზოგადი, პროფესიული ან უმაღლესი განათლება, გაიაროს სოციალური ადაპტაციის კურსები, გაეწიოს კონსულტაციები;

დ) მიიღოს მონაწილეობა კულტურულ-აღმზრდელობით ან რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს შესაბამისი ინვენტარითა და ლიტერატურით;

ე) ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და ადმინისტრაციის კონტროლით იქონიოს ამისათვის საჭირო ხელსაწყოები;

ვ) მოსთხოვოს დაწესებულების ადმინისტრაციას ზომების მიღება მისი პირადი უსაფრთხოების დასაცავად.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს სასამართლოს, დეპარტამენტის, დამცველის ან პროკურორისათვის გაგზავნილი მსჯავრდებულის განცხადება.

3. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 27 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÏÅÀËÄÏÁÀ

1. მსჯავრდებულს ევალება:

ა) დაიცვას სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნა;

ბ) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი სადგომი;

გ) იმუშაოს ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილზე ამ კანონითა და დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი პირობებით.

2. განსაზღვრული რეჟიმის ფარგლებში ადმინისტრაციამ შეიძლება მსჯავრდებულს დააკისროს დამატებითი მოვალეობები. აკრძალულია მსჯავრდებულისათვის ისეთი მოვალეობების დაკისრება, რომელიც ამკაცრებს დაწესებული რეჟიმის პირობებს, ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

ÈÀÅÉ # 7 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÉÌÀÒÈ ÀÃÌÉÍÉÓÔÒÀÝÉÖËÉ, ÃÉÓÝÉÐËÉÍÖÒÉ ÃÀ ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈÉ ÆÄÌ ÏØÌÄÃÄÁÉÓ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÄÁÉÓ ÂÀÌÏÚÄÍÄÁÀ

ÌÖáËÉ # 28 - ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈÉ ÆÄÌ ÏØÌÄÃÄÁÉÓ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÀÍÉ

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია იყენებს შესაბამის სასწავლო, აღმზრდელობით და სოციალურ პროგრამებსა და მსჯავრდებულთა ინიციატივის წახალისებას გათავისუფლების შემდეგ მათ მიერ სოციალურად დადებითი საქმიანობის განსახორციელებლად.

ÌÖáËÉ # 29 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ßÀáÀËÉÓÄÁÀ ÊÀÒÂÉ ØÝÄÅÉÓÀ ÃÀ ÓÀÌÖÛÀÏÓÀÃÌÉ ÐÀÔÉÏÓÀÍÉ ÃÀÌÏÊÉÃÄÁÖËÄÁÉÓÀÈÅÉÓ

1. ადმინისტრაციას შეუძლია წაახალისოს მსჯავრდებული კარგი ქცევისა და სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის. წახალისების წესი განისაზღვრება სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით.

2. წახალისების სახეებია:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) დისციპლინური სასჯელის ვადაზე ადრე მოხსნა;

გ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

დ) დაწესებულების დირექტორის ბრძანებით მკაცრი რეჟიმის საკნის ტიპის სადგომიდან ამავე დაწესებულების ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა;

ე) მკაცრი რეჟიმის საერთო რეჟიმით შეცვლაზე წარდგენა;

ვ) დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე წარდგენა.

ÌÖáËÉ # 30 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÉÌÀÒÈ ÃÉÓÝÉÐËÉÍÖÒÉ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÄÁÉÓ ÂÀÌÏÚÄÍÄÁÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის მსჯავრდებულს, თუ მისი ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ან ამ კანონის 30' მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა ნიშნებს, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. დისციპლინური ზომების გამოყენების უფლება აქვთ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორსა და მის მოადგილეს.

3. დაუშვებელია ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის რამდენიმე დისციპლინური სასჯელის დაკისრება.

4. მსჯავრდებულს უნდა განუმარტონ, თუ მისი რომელი ქმედება და რატომ იქნა მიჩნეული დისციპლინურ გადაცდომად და ჩამოართვან შესაბამისი ახსნა-განმარტება.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის მასალები უნდა დაერთოს მსჯავრდებულის პირად საქმეს.

6. დისციპლინური სასჯელის სახეებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

დ) კარცერში მოთავსება ვადით ოც დღემდე, ხოლო აღმზრდელობით დაწესებულებაში _ ვადით ათ დღემდე;

ე) ამანათის, ბანდეროლის და გზავნილის მიღების აკრძალვა;

ვ) საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა ვადით ექვს თვემდე;

ზ) მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სამარტოო საკანში გადაყვანა ვადით ერთ წლამდე.

7. ქალებისათვის, დადგენილი რეჟიმის დარღვევისათვის, საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა ხდება ვადით სამ თვემდე.

8. მსჯავრდებულის გადაყვანა კარცერში უნდა მოხდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი წესით.

9. დისციპლინურ სასჯელდაუდებლად ითვლება პირი, რომელიც დისციპლინური სასჯელის მოხდიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას.

10. დისციპლინური სასჯელი არ უნდა იყოს მსჯავრდებულის დამამცირებელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი.

11. მსჯავრდებულს უფლება აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ან სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომები.

ÌÖáËÉ # 30' - ÐÀÓÖáÉÓÌÂÄÁË ÏÁÀ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÛÉÍÀÂÀÍÀßÄÓÉÓ ÖáÄÛÉ ÃÀÒÙÅÄÁÉÓÀÈÅÉÓ, ÀÍ ÓÀÌÓÀáÖÒÄÁÒÉÅÉ ÌÏÅÀËÄÏÁÉÓ ÛÄÓÒÖËÄÁÉÓ ÃÒÏÓ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÌÏáËÉÓ ÀÍ ÌÀÓÈÀÍ ÂÀÈÀÍÀÁÒÄÁÖËÉ ÐÉÒÉÓ ÊÀÍÏÍÉÄÒÉ ÌÏÈáÏÅÍÉÓ ÛÄÖÓÒÖËÄÁËÏÁÉÓÀÈÅÉÓ

1. მსჯავრდებულის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესის უხეში დარღვევა, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს აღმინისტრაციულ პატიმრობას არა უმეტეს 60 დღე-ღამის ვადით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა, -

გამოიწვევს აღმინისტრაციულ პატიმრობას არანაკლებ 15 და არა უმეტეს 60 დღე-ღამის ვადით.

3. დარღვევის განმეორებით ჩადენად ჩაითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის საქმეზე აღმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში მსჯავრდებულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ყოველი მომდევნო ჩადენა.

4. ერთი წლის განმავლობაში შეფარდებული აღმინისტრაციული პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღე-ღამეს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული აღმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც დისციპლინური სასჯელი დაედო. აღმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ ორსულ ქალებსა და 14 წლამდე

ასაკის მსჯავრდებულებს.

6. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება ხორციელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. განკარგულება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარსა და სახელს;

ბ) შედგენის თარიღს, დროსა და ადგილს;

გ) სარეგისტრაციო ნომერს;

დ) მითითებას იმ ნორმატიულ აქტსა და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, რომელთა საფუძველზეც თანამდებობის პირი ახორციელებს აღნიშნულ უფლებამოსილებას;

ე) მონაცემებს დარღვევის ჩამდენი პირის შესახებ (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და სხვა);

ვ) დარღვევის ჩადენის ადგილს, დროს (წლის, თვის, რიცხვის, საათისა და წუთის მითითებით) და დარღვევის არსს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დროის განსაზღვრა, დარღვევის ჩადენის დროდ ჩაითვლება მისი გამოვლენის დრო;

ზ) მონაცემებს მოწმის, დაზარალებულის შესახებ, მათი არსებობის შემთხვევაში;

თ) მითითებას საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებებზე, მათი არსებობის შემთხვევაში;

ი) შუამდგომლობას სახელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ, სახელის ვადის მითითების გარეშე.

8. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემისას მსჯავრდებულს განემარტება უფლება - გაეცნოს განკარგულებას, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გაასაჩივროს განკარგულება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მომსახურებით. აღნიშნული განმარტებების თაობაზე აღინიშნება განკარგულებაში.

9. თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მოწვევის შესახებ უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში.

10. დარღვევის ჩამდენ პირს, მოწმეს ან დაზარალებულს უფლება აქვთ წერილობით წარადგინონ ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები, რომლებიც დაერთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას.

11. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ერთი ეგზემპლარი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს.

12. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. მტკიცების ტვირთი ეკისრება განკარგულების გამომცემ ორგანოს (თანამდებობის პირს).

13. განკარგულებას ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე, განკარგულების წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. დაუშვებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისათვის გადადება.

14. სასამართლოში საქმე განიხილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქმის განხილვისას არ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 262 მუხლი.

15. სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მსჯავრდებული სარგებლობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყველა უფლებით. მას სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოიწვიოს მოწმეები, მისცეს ახსნა-განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვას საკუთარი აზრი საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მომსახურებით. თუ მსჯავრდებულს არა აქვს ადვოკატის (დამცველის) აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი (დამცველი) სახელმწიფოს ხარჯზე.

16. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში ჩაითვლება პირის სასამართლოში წარსადგენად გამოყენებული დრო და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოსატანად გამოყენებული დრო.

ÌÖáËÉ # 30" - ÓÀÓÀÌÀÒÈ Ë ÏÓ ÂÀÃÀÀßÚÅÄÔÉËÄÁÀ (ÂÀÍÜÉÍÄÁÀ) ÀÃÌÉÍÉÓÔÒÀÝÉÖËÉ ÐÀÔÉÌÒ ÏÁÉÓ ÛÄ×ÀÒÃÄÁÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

1. სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა პირის მიერ შესაბამისი დარღვევის ჩადენა სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციისა და

სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სამართლიანია, თუ შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობა შეესაბამება დამრღვევის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმეს.

ÌÖáËÉ # 30''' - ÀÃÌÉÍÉÓÔÒÀÝÉÖËÉ ÐÀÔÉÌÒÏÁÉÓ ÛÄ×ÀÒÃÄÁÉÓÀÓ ÓÀÓÀÌÀÒÈËÏÓ ÌÉÄÒ ÂÀÃÀÓÀßÚÅÄÔÉ ÓÀÊÉÈáÄÁÉ

1. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა პირმა ამ კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

გ) შეერაცხება თუ არა პირს ბრალად ჩადენილი ქმედება;

დ) უნდა შეეფარდოს თუ არა პირს პატიმრობა და რა ზომით;

ე) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი.

2. რამდენიმე დარღვევის ჩადენაში მხილებული პირის საქმის განხილვისას სასამართლო თითოეული დარღვევის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად წყვეტს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საკითხებს.

3. სასამართლო უფლებამოსილია, დარღვევის ჩადენაში მხილებული რამდენიმე პირისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების საკითხი განიხილოს ერთობლივად, განკარგულების გამომცემის შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი პირის მიმართ ცალ-ცალკე.

ÌÖáËÉ # 30'4 - ÐÉÒÅÄËÉ ÉÍÓÔÀÍÝÉÉÓ ÓÀÓÀÌÀÒÈËÏÓ ÂÀÃÀßÚÅÄÔÉËÄÁÉÓ (ÂÀÍÜÉÍÄÁÉÓ) ÂÀÓÀÜÉÅÒÄÁÀ

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა ან მათმა წარმომადგენლებმა მათთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით გადაწყვეტილების (განჩინების) ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოსა და მოწინააღმდეგე მხარეს.

2. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს კოლეგიურად - სამი მოსამართლის შემადგენლობით, ღია სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილება (განჩინება) გამოაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კანონით დადგენილი წესით და ვადებში.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ÌÖáËÉ # 30'5 - ÀÙÓÒÖËÄÁÀÓÈÀÍ ÃÀÊÀÅÛÉÒÄÁÖËÉ ÓÀÊÉÈáÄÁÉÓ ÏÒÂÀÍÉÆÄÁÀ ÃÀ ÊÏÍÔÒÏËÉ

1. ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებას (განჩინებას) აღსასრულებლად მიაქცევს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო. აღსრულების ორგანიზება და კონტროლი ეკისრება დეპარტამენტს.

2. მსჯავრდებულის მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

3. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ ჩაითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში.

ÌÖáËÉ # 31 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÐÉÒÀÃÉ ÓÀØÌÄ

1. მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე. გათავისუფლების შემდეგ პირადი საქმე ინახება სასჯელაღსრულების დაწესებულების არქივში. პირად საქმეზე დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალს და არქივში მისი შენახვის ვადას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

2. პირად საქმეში უნდა იყოს მონაცემები მსჯავრდებულის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის, აგრეთვე შრომისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ.

3. პირადი საქმის შევსებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.

4. მსჯავრდებულის სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანისას, მისი პირადი საქმე უნდა გადაეგზავნოს ამ დაწესებულებას.

5. მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ სპეციალურად უფლებამოსილ პირს. ასეთ პირთა

ნუსხას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

ÈÀÅÉ # 8 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÓÀÚÏ×ÀÝáÏÅÒÄÁÏ ÐÉÒÏÁÄÁÉ

ÌÖáËÉ # 32 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÏÈÀÅÓÄÁÉÓ ÍÏÒÌÀÔÉÅÄÁÉ

სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად ცალკეული რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსების ზღვრული ნორმატივები განისაზღვრება სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით, დაწესებულების შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

ÌÖáËÉ # 33 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÝáÏÅÒÄÁÉÓ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი, უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

2. ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2კვ. მ-ზე, საპყრობილეში 2,5 კვ.მ-ზე, ქალთა დაწესებულებაში 3 კვ.მ-ზე, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 3,5 კვ.მ-ზე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში - 3 კვ.მ-ზე ნაკლები.

/კანონის მე-100 მუხლი 'კანონის ამოქმედება' - ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან/.

3. კვების ნორმები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ხანდაზმულებს (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით უნდა შეექმნათ გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

4. საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას.

ÌÖáËÉ # 34 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÐÉÒÀÃÉ äÉÂÉÄÍÀ

1. მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა ადამიანის პატივისა და ღირსების შეულახავად.

2. კვირაში ერთხელ მაინც მსჯავრდებული უზრუნველყოფილ უნდა იყოს სუფთა თეთრეულით და საპარიკმახერო მომსახურებით. ადმინისტრაციას ეკრძალება მოითხოვოს მსჯავრდებულისაგან თმების მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

ÌÖáËÉ # 35 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÔÀÍÓÀÝÌÄËÉ ÃÀ ÈÄÈÒÄÖËÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მისცეს მსჯავრდებულს სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. აუცილებლობის შემთხვევაში მსჯავრდებულს ეძლევა სამუშაო ტანსაცმელი.

1'. მსჯავრდებულისა და პატიმრის სპეციალური ტანსაცმლის ფორმას ცალკეული სასჯელაღსრულების დაწესებულების მიხედვით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

2. მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. თეთრეულის გამოცვლის პერიოდი უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენის მოთხოვნებს.

ÌÖáËÉ # 36 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÊÅÄÁÉÓ ÏÒÂÀÍÉÆÀÝÉÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კვების ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის კვების ტრადიციებს და შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საჭმლის კალორიულობის დაქვეითება.

2. მსჯავრდებულს უფლება აქვს ბანდეროლებითა და ამანათებით მიიღოს კვების პროდუქტები, გარდა

დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. მსჯავრდებულს უფლება აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების მაღაზიაში შეიძინოს დამატებითი კვების პროდუქტები იმ თანხით, რომელიც მან გამოიმუშავა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობისას ან მის ანგარიშზე ჩარიცხეს სხვა პირებმა ან ორგანიზაციებმა. პროდუქტების შესაძენად საკუთარი სახსრების გამოყენება დაიშვება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სასმელი წყალი.

ÈÀÅÉ # 9 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÓÀÌÄÃÉÝÉÍÏ ÌÏÌÓÀáÖÒÄÁÀ

ÌÖáËÉ # 37 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÓÀÌÄÃÉÝÉÍÏ ÓÀÌÓÀáÖÒÉÓ ÏÒÂÀÍÉÆÀÝÉÀ

სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილს. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონე არ უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის საერთო სისტემის დონეზე ნაკლები. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონის მე-11-17 მუხლებით განსაზღვრული წესები.

ÌÖáËÉ # 38 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ãÀÍÌÒÈÄË ÏÁÉÓ ÌÃÂÏÌÀÒÄÏÁÉÓ ÊÏÍÔÒÏËÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისვლისთანავე მსჯავრდებული გადის სამედიცინო შემოწმებას.

2. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება წელიწადში ერთხელ მაინც. დაავადებულ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა.

ÌÖáËÉ # 39 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ØÀËÈÀ ÚÏ×ÍÉÓ ÂÀÍÓÀÊÖÈÒÄÁÖËÉ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. საჭიროების შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისათვის და ბავშვებისათვის (ბავშვთა ბაგა-ბაღი). დედის შუამდგომლობით, მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და აღმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შეიძლება დედისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულება დედას აძლევს საშუალებას ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვან შვილებთან, თუ ეს ხელს არ შეუშლის მათ ნორმალურ აღზრდასა და არ იქონიებს მათზე ცუდ გავლენას.

ÌÖáËÉ # 40 - ÌÊÖÒÍÀË ÏÁÀ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც არანაკლებ ასი მსჯავრდებული იმყოფება, უნდა მოეწყოს სტაციონარული სამკურნალო პუნქტი სადღეღამისო სამედიცინო დახმარების გასაწევად.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც ასზე ნაკლები მსჯავრდებულია, უნდა შეიქმნას საექიმო-სამედიცინო პუნქტი, სადაც სამედიცინო მომსახურება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებასთან ხელშეკრულების საფუძველზე.

3. თუ მსჯავრდებულის, მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს სამკურნალო პუნქტში ან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებას, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო ქვედანაყოფების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ამ დაწესებულების აღმინისტრაცია

ÌÖáËÉ # 41 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÄØÉÌÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებამ, რომელსაც არ გააჩნია სტაციონარული-სამკურნალო პუნქტი ან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებასთან არა აქვს დადებული ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურებაზე,

ვალდებულია აიყვანოს ექიმი, რომელიც დაწესებულებას მოემსახურება ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ექიმი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება დაწესებულებას, ვალდებულია განახორციელოს მუდმივი კონტროლი მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე, უმკურნალოს მათ შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მისი გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში.

3. ექიმი ვალდებულია დადგენილ ვადებში მოახდინოს მსჯავრდებულთა სამედიცინო შემოწმება და რომელიმე მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის საშიში პირობების შესახებ აცნობოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს.

ÌÖáËÉ # 42 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÓÀÌÄÃÉÝÉÍÏ ÊÏÍÔÒÏËÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური ან ექიმი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:

ა) მსჯავრდებულთათვის მიცემული საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

გ) მსჯავრდებულთა ტანსაცმლისა და საწოლის თეთრეულის მდგომარეობა და სეზონის პირობებთან შესაბამისობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში სამედიცინო სამსახური ან ექიმი წერილობით აცნობებს დაწესებულების აღმინისტრაციას.

3. თუ დაწესებულების აღმინისტრაცია ჩათვლის, რომ ექიმის მიერ გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრა დაწესებულების შესაძლებლობებს აღემატება, იგი ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს დეპარტამენტის აღმინისტრაციას. მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს სამედიცინო სამსახურის ან ექიმის წერილი.

ÌÖáËÉ # 43 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÓÀÄÒÈÏ ×ÉÆÉÊÖÒÉ ÌÃÂÏÌÀÒÄÏÁÉÓÀÈÅÉÓ áÄËÉÓ ÛÄßÚÏÁÀ

მსჯავრდებულს, რომელიც რეჟიმის ან სხვა გარემოებათა გამო არ შეიძლება რეგულარულად გამოყვანილ იქნეს გასასეირნებლად, უნდა მიეცეს ჰაერზე ყოფნის ნება დღეში არანაკლებ ერთი საათისა.

ÈÀÅÉ # 10 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÂÀÍÀÈËÄÁÀ ÃÀ ÐÒÏ×ÄÓÉÖËÉ ÓßÀÅËÄÁÀ

ÌÖáËÉ # 44 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÆÏÂÀÃÓÀÂÀÍÌÀÍÀÈËÄÁËÏ ÃÀ ÐÒÏ×ÄÓÉÖËÉ ÂÀÍÀÈËÄÁÀ

სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება. აღმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა, ევროპული პენიტენციური წესები. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სოციალური ადაპტაციის სასწავლო ჯგუფებში, რომელთა შექმნაც სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციის მოვალეობაა.

ÌÖáËÉ # 45 - ÆÏÂÀÃÉ ÂÀÍÀÈËÄÁÀ

1. მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით.

2. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლების მიცემა სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას.

3. მსჯავრდებულს, რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, უნდა შეექმნას პირობები მის დასაუფლებლად.

ÌÖáËÉ # 46 - ÐÒÏ×ÄÓÉÖËÉ ÂÀÍÀÈËÄÁÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა შეიქმნას პირობები მსჯავრდებულთა პროფესიული დონის

ასამაღლებლად.

2. პროფესიული სწავლება ნებაყოფლობითია იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც გააჩნიათ რაიმე სპეციალობა, აგრეთვე არასრულწლოვან და იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ.

3. მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების დროს უპირატესობა ეძლევა იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების პირობებშია შესაძლებელი.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციას მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით უფლება აქვს ნება დართოს მსჯავრდებულს ექსტერნად ისწავლოს საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

5. მსჯავრდებულის ექსტერნად სწავლების წესსა და პირობებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთახმებით.

ÈÀÅÉ # 11 - ÀáË ÏÁËÄÁÈÀÍ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÖÒÈÉÄÒÈ ÏÁÉÓ ÓÀáÄÄÁÉ

ÌÖáËÉ # 47 - ÀáË ÏÁËÄÁÈÀÍ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÖÒÈÉÄÒÈ ÏÁÉÓ ÆÏÂÀÃÉ ÐÒÉÍÝÉÐÄÁÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაცია ხელს უწყობს მსჯავრდებულს ურთიერთობა ჰქონდეს ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან.

2. აკრძალულია მსჯავრდებულის სრული იზოლაცია.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ პირებთან მსჯავრდებულის ურთიერთობის კონტროლი უნდა განხორციელდეს მისი პატივისა და ღირსების შეულახავად.

ÌÖáËÉ # 48 - ÛÄáÅÄÃÒÀ ÏãÀáÉÓ ßÄÅÒÄÁÈÀÍ ÃÀ ÀáË Ï ÍÀÈÄÓÀÅÄÁÈÀÍ

1. მსჯავრდებულს უფლება აქვს შეხვდეს ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს (მეუღლეს, მშობლებს, ბებიას, პაპას, შვილს, მშვილებელს, შვილობილს, დას, ძმას, აგრეთვე მათ, ვისთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობამდე 2 წლის განმავლობაში). ამ უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ მსჯავრდებულისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მიზნით.

2. პაემნის უფლება ეძლევათ მსჯავრდებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს. პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. მსჯავრდებულთან პაემნის მსურველი პირი ვალდებულია ამის თაობაზე სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციას შეატყობინოს პაემნამდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

3. საერთო რეჟიმის პირობებში პაემნის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციის წარმომადგენლის დასწრება სავალდებულო არ არის.

4. მსჯავრდებულ ქალებს უფლება აქვთ ჰქონდეთ თვეში არა უმეტეს სამი პაემნისა, ხოლო მსჯავრდებული მამაკაცებისათვის პაემნების რაოდენობა განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შესაბამისად. მსჯავრდებულის ქცევის ან შრომისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით, მისი სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და სასჯელის მოხდის რეჟიმისა, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს შეუძლია მისცეს მსჯავრდებულს დამატებითი პაემანი.

4'. მსჯავრდებულისათვის დამატებითი პაემნის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი იღებს საკუთარი ინიციატივით, სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური განყოფილების ან ამ კანონის 93-ე მუხლით განსაზღვრული კომისიის წარდგინებით. დამატებითი პაემნის მიცემის შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იყოს დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურთან.

5. ყველა მსჯავრდებულს აქვს უფლება, შეხვდეს დამცველს ყოველგვარი შეზღუდვის, ჩარევისა და ცენზურის გარეშე. სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ შეხვედრას აკვირდებოდნენ ვიზუალურად, მაგრამ მოსმენის გარეშე.

6. მსჯავრდებულს, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს შეხვდეს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს ან მისი ინტერესების დამცველ, სხვა ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს.

ÌÖáËÉ # 49 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÂÀÒÄÈ áÀÍÌ ÏÊËÄ ÂÀÓÅËÀ

1. მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ გასვლის უფლება, თუ ეს აუცილებელია მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით. დაწესებულების გარეთ გასვლის წესი და

პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომელთაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციას შეუძლია უფლება მისცეს მსჯავრდებულს, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორია, თუ მიღებული იქნება სარწმუნო ცნობა ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე.

3. დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შვიდ დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის ადგილამდე მგზავრობის დროც.

4. დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

5. დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევათ აღმზრდელობითი, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულებს, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით და მათი პიროვნებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი ადგენს მსჯავრდებულის გამცილებელი თანამშრომლების რაოდენობას.

6. მსჯავრდებულის გარეთ გასვლის ხარჯები გადაიხდება მისი ან მისი ოჯახის სახსრებით.

7. სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებითი დატოვების წესსა და პირობებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

ÌÖáËÉ # 50 - ÌÉÌ Ï ßÄÒÀ ÃÀ ÓÀÔÄËÄ× Ï Í Ï ÓÀÖÁÀÒÉ

1. მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები, დადგენილი წესით და სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაციის კონტროლით ისარგებლოს საერთო სარგებლობის ტელეფონით, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებას ამისი ტექნიკური შესაძლებლობა გააჩნია.

2. მიმოწერა და სატელეფონო საუბრები ხორციელდება მსჯავრდებულის ხარჯზე.

3. მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილების დანიშნულებისამებრ ჩაბარებას, აგრეთვე მსჯავრდებულის წერილების აღრესატისათვის გაგზავნას აწარმოებს სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმინისტრაცია.

ÌÖáËÉ # 51 - ÌÀÓÏÁÒÉÅÉ ÉÍ× ÏÒÌÀÝÉÉÓ ÓÀÛÖÀËÄÁÀÉ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÁÀÖËÄÁÀÛÉ

1. მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გაცნობის შესაძლებლობა.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია. მსჯავრდებულთათვის რეჟიმით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად მათ შეიძლება ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები, ტელევიზორი, ვიდეო- ან აუდიო მაგნიტოფონი, საბეჭდი საშუალება, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ხარჯებს (ელექტროენერგიისა და სხვა) იხდის მსჯავრდებული.

3. მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური, მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები.

ÌÖáËÉ # 52 - ÓÐÄÝÉÀËÖÒÉ ÍÄÁÀÒÈÅÉÓ ÂÀÒÄÛÄ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÁÀÖËÄÁÀÛÉ ÛÄÓÅËÀ

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები;

გ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

დ) საქართველოს პარლამენტის საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ე) სახალხო დამცველი;

ვ) საქართველოს პროკურატურის საამისოდ უფლებამოსილი პირები;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მის მიერ უფლებამოსილი პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ÈÀÅÉ # 12 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÛÒÏÌÀ

ÌÖáËÉ # 53 - ÛÒÏÌÉÓÀÃÌÉ ÃÀÌÏÊÉÃÄÁÖËÄÁÉÓ ÓÀÄÒÈÏ ÌÏÈáÏÅÍÄÁÉ

1. მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობა ხორციელდება ამ კანონითა და შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მსჯავრდებულთა შრომაში ჩაბმა, როგორც წესი, ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე.

3. მსჯავრდებულს უფლება აქვს ამოირჩიოს ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სამუშაოებიდან მისთვის შესაფერისი სამუშაო.

4. აკრძალულია მსჯავრდებულის იძულება შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას.

ÌÖáËÉ # 54 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÖÛÀÏÁÉÓ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. მსჯავრდებულის მუშაობის პირობები უნდა შეესაბამებოდეს შრომის კანონმდებლობითა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2. არასრულწლოვანი მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს, ამასთან სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

3. მსჯავრდებულს შეიძლება დაევალოს ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე მუშაობა გამოსასვლელ ან უქმე დღეებში მხოლოდ მისივე თანხმობით. ამასთან, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში რვა საათს.

4. აღმინისტრაციის ინიციატივით, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია მსჯავრდებულთა შრომის გამოყენება სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიის გარეთ (მსჯავრდებულის თანხმობით, ზედამხედველობის ან მის გარეშე, თუ ეს ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების მიზნების განხორციელებას) სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის აცილების თუ ლიკვიდაციის დროს ან მათი შედეგების აღმოსაფხვრელად, უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობისათვის.

ÌÖáËÉ # 55 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÛÒÏÌÉÓ ÀÍÀÆÙÀÖÒÄÁÀ

1. მსჯავრდებულის შრომის ანაზღაურების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

2. მსჯავრდებულის ხელფასის 15 პროცენტი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, 50 პროცენტი მიეცემა მსჯავრდებულს პირადი ხარჯებისათვის, 10 პროცენტი დაირიცხება სასჯელაღსრულების დაწესებულების შესანახი ხარჯების ანაზღაურებისათვის, რომლის ხარჯვისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. 25 პროცენტი დაიქვითება აღმასრულებელი ფურცლებით ან აღმასრულებელი დოკუმენტებით კანონით დადგენილი წესით. არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გადასახდელი ალიმენტები გამოიანგარიშება მსჯავრდებულის მიერ გამომუშავებული მთელი თანხიდან.

3. თუ მსჯავრდებულს თანხა არ დაექვითება აღმასრულებელი ფურცლით ან აღმასრულებელი დოკუმენტით, თანხის 75 პროცენტი ინახება მსჯავრდებულის ანგარიშზე (დეპოზიტზე) და მიეცემა მას გათავისუფლებისას. მსჯავრდებულს უფლება აქვს ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს.

ÌÖáËÉ # 56 - ÛÒÏÌÉÓ ÃÀÝÅÀ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულზე ვრცელდება ამ კანონითა და შრომის კანონმდებლობით

დადგენილი შრომის დაცვის წესები. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულს შეუქმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები.

2. თუ მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის დროს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებით დაკარგა შრომისუნარიანობა, სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ უფლება აქვს მოითხოვოს პენსია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

ÈÀÅÉ # 13 - ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÓÀÌÓÀáÖÒÉ

ÌÖáËÉ # 57 - ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÓÀÌÓÀáÖÒÉÓ ÌÉÆÀÍÉ

1. სოციალური სამსახურის მიზანია დახმარება გაუწიოს მსჯავრდებულებს შეინარჩუნონ და დაამყარონ საზოგადოებასთან სოციალურად, სამართლებრივად და ზნეობრივად გამართლებული კონტაქტები, გადაჭრან პირადი თუ ოჯახური პრობლემები. სამსახური ხელს უწყობს მსჯავრდებულთა მართლშეგნების ამაღლებას, მათ ურთიერთობას საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემდეგ ცხოვრების პირობების მოწყობაში.

2. სოციალური სამსახური ხელმძღვანელობს მსჯავრდებულთა სოციალური ადაპტაციის სასწავლო ჯგუფებს.

ÌÖáËÉ # 58 - ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÓÀÌÓÀáÖÒÉÓ ÌÖÛÀÊÉ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სოციალურ საკითხებს აწესრიგებს სოციალური სამსახურის მუშაკი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.

2. ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო უმაღლესი სპეციალური განათლება.

3. სოციალური სამსახურის მუშაკზე ვრცელდება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებისათვის დადგენილი ყველა გარანტია და შეღავათი.

ÌÖáËÉ # 59 - ÓÏÝÉÀËÖÒÉ ÖÆÒÖÍÅÄËÚÏ×À ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÌÉÙÄÁÉÓÀÓ ÃÀ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓÀÓ

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას მსჯავრდებულს კონსულტაციას უტარებენ სამართლებრივ საკითხებზე.

2. მსჯავრდებულის გათავისუფლების მომზადების პროცესში მას გაეწევა დახმარება იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია პირადი ცხოვრების მოწესრიგებასთან, ასევე სათანადო დოკუმენტების გაფორმებასთან. მსჯავრდებულს ეცნობება, რომ მას აქვს შესაძლებლობა მიიღოს დახმარება საერთო სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში.

3. მსჯავრდებულის გათავისუფლების მომზადების პროცესში სოციალური მუშაკი აცყობინებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, რომ მსჯავრდებული გათავისუფლების შემდეგ საჭიროებს სოციალურ დახმარებას. თუ არ არის ცნობილი მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის საცხოვრებელი ადგილი, სოციალური სამსახურის მუშაკი ინფორმაციას აწვდის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის იმ ორგანოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც ცხოვრობდა მსჯავრდებული.

ÌÖáËÉ # 60 - ÆÄÃÀÌáÄÃÅÄËÉ ÏÒÂÀÍÏ

1. მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების მომზადების პროცესში სოციალური სამსახურის მუშაკი ინფორმაციას მსჯავრდებულის შესახებ გზავნის ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოში მისი ან მისი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის საცხოვრებელი ადგილი უცნობია ან მას არ სურს დაუბრუნდეს ყოფილ საცხოვრებელ ადგილს, სოციალური სამსახურის მუშაკი მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინებით ინფორმაციას უგზავნის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს.

ÌÖáËÉ # 61 - ÓÀÒÄÀÁÉËÉÊÀÝÉÏ ÝÄÍÔÒÉ

მსჯავრდებულთა ადაპტაციისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან იქმნება სარეაბილიტაციო ცენტრები, რომელთა დებულებასაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

ÈÀÅÉ # 14 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÏÈÀÅÓÄÁÀ ÃÀ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀ

ÌÖáËÉ # 62 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÌÏÈÀÅÓÄÁÉÓ ÃÏÉÖÌÄÍÔÄÁÉ

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მოსათავსებლად აუცილებელია სასამართლოს განაჩენი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ÌÖáËÉ # 63 - ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÈÀ ÒÄÄÓÔÒÉ

1. მსჯავრდებული, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიგზავნება ამ კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, აღირიცხება მსჯავრდებულთა რეესტრში, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

2. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიღებისას აუცილებელია მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება, ცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური რუკა, სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით და ინფორმაცია სისხლის ჯგუფის შესახებ ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში.

ÌÖáËÉ # 64 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÂÀÍÈÀÅÓÄÁÀ

მსჯავრდებულთა განთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება ამ კანონის 22-ე მუხლით დადგენილი წესით.

ÌÖáËÉ # 65 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÃÀÍ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÓÀ×ÖÞÅËÄÁÉ

1. მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან:

ა) სასჯელის მოხდის შემდეგ;

ბ) მძიმე ან განუკურნებელი დაავადების შემთხვევაში;

გ) პირობით ვადამდე ადრე;

დ) კანონით დადგენილი წესით განაჩენის შეცვლის ან გაუქმების გამო;

ე) ამნისტიით ან შეწყალებით;

ვ) ხანდაზმულობის ასაკის მიღწევის გამო, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომელიც წარმოადგენს საჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს, ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხი წყდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად.

ÌÖáËÉ # 66 - ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÉÓ ÓÀÄÒÈÏ ßÄÓÉ

1. გასათავისუფლებელი მსჯავრდებული ამ კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების წინა დღის პირველ ნახევარში. თუ გათავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს. მას მიეცემა ცნობა გათავისუფლების შესახებ.

2. გათავისუფლებულს უბრუნდება პირადი ნივთები და ტანსაცმელი, რომელიც ინახებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაში. თუ გათავისუფლებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი ან იგი არ შეეფერება წლის დროს, მას შესაფერის ტანსაცმელს ანაზღაურების გარეშე აძლევს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაა.

3. მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა გადაეცემა გათავისუფლებისას. თუ თანხა უმუშევრობისათვის დაწესებულ შემწეობაზე ნაკლებია, გათავისუფლებულს ეძლევა ერთდროული დახმარება, მაგრამ არა უმეტეს ამ შემწეობისა.

ÌÖáËÉ # 67 - ÀÅÀÃÌÚÏ×ÏÁÉÓ ÀÍ áÀÍÃÀÆÌÖË ÏÁÉÓ ÀÓÀÊÉÓ ÂÀÌÏ ÓÀÓãÄËÉÓÀÂÀÍ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀ

1. მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებულის, აგრეთვე ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული (ქალები - 65 წლიდან, მამაკაცები - 70 წლიდან) მსჯავრდებული პირის გასათავისუფლებლად მსჯავრდებული ან/და სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი, კანონით დადგენილი წესით, მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ მიმართავს სასამართლოს.

2. ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის გათავისუფლებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ნასამართლობა, სასჯელის მოხდის ადგილებში მისი ქცევა, შრომისადმი დამოკიდებულება, ოჯახური პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ÌÖáËÉ # 68 - ÓÀÓãÄËÉÓ ÌÏáÃÉÓÀÂÀÍ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÐÉÒÏÁÉÈ ÅÀÃÀÌÃÄ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀ ÀÍ ÌÉÓÈÅÉÓ ÓÀÓãÄËÉÓ ÌÏÖáÃÄËÉ ÍÀßÉËÉÓ Ö×ÒÏ ÌÓÖÁÖØÉ ÓÀÓãÄËÉÈ ÛÄÝÅËÀ

1. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე წარდგინებით მიმართავს სასამართლოს.

2. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წევრებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა შემადგენლობიდან დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

3. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

4. დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს მსჯავრდებული, მისი დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, ახლო ნათესავი ან სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.

5. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით სასამართლოს წარუდგინოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მასალები, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს. კომისიის წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული მასალების წარდგენისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდილი სასჯელი და სხვა გარემოებანი, რომლებიც დადებითად ახასიათებს მას.

7. დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის უარი, წარდგინებით მიმართოს სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე, უნდა იყოს მოტივირებული.

ÈÀÅÉ # 15 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÒÄÑÉÌÉ

ÌÖáËÉ # 69 - ÔÖÓÀÙÏÁÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÀ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 70 - ÔÖÓÀÙÏÁÉÓ ÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÓÀÄÒÈÏ ÐÉÒÏÁÄÁÉ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 71 - ÔÖÓÀÙÉÓ ÐÀÄÌÀÍÉ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 72 - ÔÖÓÀÙÉÓ áÀÍÌÏÊËÄ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 73 - ÓÀÄÒÈÏ ÒÄÑÉÌÉÓ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀ

1. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნება პირს, რომელიც პირველად არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული განზრახი ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის, ან მსჯავრდებულია გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ქალებს - ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას.

2. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ დააბინავებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს:

ა) თავისუფლად იაროს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით;

ბ) ჰქონდეს თვეში არა უმეტეს ორი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა;

გ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

4. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს ჰქონდეს თვეში სამი პაემანი, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

ÌÖáËÉ # 74 - ÌÊÀÝÒÉ ÒÄÑÉÌÉÓ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀ

1. მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნება პირს, რომელიც პირველად არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის რეციდივის ან საშიში რეციდივის დროს, თუ მსჯავრდებული წინათ იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

2. მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ ათავსებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით.

4. მსჯავრდებულს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისათვის, უფლება აქვს ჰქონდეს თვეში არა უმეტეს ერთი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა. იმ პირს, რომელსაც მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაენიშნა დანაშაულის რეციდივის დროს, თუ იგი წინათ იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, უფლება აქვს პაემანი ჰქონდეს არა უმეტეს ორ თვეში ერთხელ, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

ÌÖáËÉ # 75 - ÌÓãÀÅÒÃÁÖËÍÉ, ÒÏÌËÁÉÝ ÓÀÓãÄËÓ ÉáÃÉÀÍ ÓÀÐÚÒÏÁÉËÄÛÉ

1. საპყრობილეში თავისუფლების აღკვეთის მოხდა შეეფარდება პირს, რომელიც მსჯავრდებულია უვადო თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, მსჯავრდებულს, რომელიც გადმოყვანილია სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან რეჟიმის მოთხოვნისაგან თავის არიდებისათვის.

2. საპყრობილეში სასჯელს იხდიან აგრეთვე მსჯავრდებულები, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით სამეურნეო მომსახურებისათვის არიან იქ დატოვებულნი.

3. დასაშვებია საპყრობილეში იმ მსჯავრდებულთა მოთავსება, რომლებიც იხდიან სასჯელს სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგრამ დატოვებული ან გადმოყვანილი არიან საპყრობილეში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადით.

4. დასაშვებია არა უმეტეს ათი დღით საპყრობილეში დროებით მოთავსება იმ მსჯავრდებულებისა, რომლებიც გადაყვანილნი არიან თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში.

5. საპყრობილის რეჟიმი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით.

ÌÖáËÉ # 76 - ÓÀÐÚÒÏÁÉËÄÛÉ ÌÏÈÀÅÓÄÁÉÓ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. მსჯავრდებულები საპყრობილეში იმყოფებიან საერთო საკნებში. საჭიროების შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანებით მსჯავრდებული შეიძლება მოთავსდეს სამარტოო საკანში.

2. მსჯავრდებულთა საკანში განაწილება ხდება ამ კანონით და სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით.

ÌÖáËÉ # 77 - ÖÅÀÃÏÃ ÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀÀÙÊÅÄÈÉËÉ ÌÓãÀÅÒÃÄÁÖËÉÓ ÚÏ×ÍÉÓ ÈÀÅÉÓÄÁÖÒÄÁÀÍÉ

1. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ სადღეღამისო დაკავების საკანში, სადაც შესაძლებელია მუდმივი ვიზუალური კონტროლი.

2. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს ოთხი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

3. რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის მსჯავრდებულს შეიძლება დისციპლინური სასჯელის სახით განესაზღვროს:

ა) საყვედური;

ბ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

გ) საფოსტო გზავნილების მიღების და გაგზავნის აკრძალვა;

დ) კარცერში მოთავსება ვადით სამიდან ოც დღემდე.

4. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ეკრძალება ურთიერთობა ვადიან თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან.

ÌÖáËÉ # 78 - ÓÀÐÚÒÏÁÉËÉÓ ÒÄÑÉÌÉÓ ÓÀáÄÄÁÉ

1. საპყრობილეში წესდება რეჟიმის ორი სახე:
ა) საერთო;
ბ) მკაცრი.

2. აკრძალულია ურთიერთობა მსჯავრდებულებს შორის, რომლებიც სხვადასხვა რეჟიმში იმყოფებიან.

3. თითოეული რეჟიმის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით.

ÌÖáËÉ # 79 - ÓÀÐÚÒÏÁÉËÉÓ ÓÀÄÒÈÏ ÒÄÑÉÌÉ

1. საპყრობილის საერთო რეჟიმში იმყოფებიან ის მსჯავრდებულები, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებულნი საპყრობილეში მოთავსებით და რომლებიც საპყრობილის მკაცრ რეჟიმში იმყოფებოდნენ და ამ კანონის შესაბამისად გადმოიყვანეს საერთო რეჟიმში.

2. საპყრობილის საერთო რეჟიმის საკნებში არ შეიძლება იმყოფებოდეს ოთხ მსჯავრდებულზე მეტი.

3. საკნები აღჭურვილი უნდა იყოს მსჯავრდებულებზე ვიზუალური დაკვირვების საშუალებებით.

4. საპყრობილის საერთო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს სამი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა;

ბ) ისარგებლოს ყოველდღიური ორსაათიანი გასეირნებით.

ÌÖáËÉ # 80 - ÓÀÐÚÒÏÁÉËÉÓ ÌÊÀÝÒÉ ÒÄÑÉÌÉ

1. საპყრობილის მკაცრ რეჟიმში იმყოფებიან პირები, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და რომლებსაც მიესაჯათ პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე პირები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოყვანილ იქნენ სასჯელის მოსახდელად ამ კანონით დადგენილი წესით.

2. მკაცრი რეჟიმის საკანი წარმოადგენს სადგომს ერთი ან ორი მსჯავრდებულისათვის, სადაც შეიძლება მათზე ვიზუალური დაკვირვება.

3. მკაცრი რეჟიმის პირობებში მსჯავრდებულნი ასრულებენ მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც არ საჭიროებს საკნიდან გამოსვლას

4. მკაცრ რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ:

ა) აღმინისტრაციის მეთვალყურეობით, წლის განმავლობაში ჰქონდეთ არა უმეტეს ორი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა;

ბ) ისარგებლონ ყოველდღიურად ერთსაათიანი გასეირნებით.

ÌÖáËÉ # 81 - ÓÀÐÚÒÏÁÉËÉÓ ÒÄÑÉÌÉÓ ÃÀÍÉÛÅÍÀ ÃÀ ÛÄÝÅËÀ

1. საპყრობილის რეჟიმის სახეობის დანიშვნა ან მისი შეცვლა ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით, ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. შუამდგომლობაში აღინიშნება რეჟიმის დანიშვნის ან შეცვლის შესახებ მისაღები გადაწყვეტილების საფუძველი. თუ მსჯავრდებულს უნდა დაენიშნოს მკაცრი რეჟიმი, შუამდგომლობაში მიეთითება მისი ვადა.

3. მსჯავრდებულის ვადამდე გადაყვანა მკაცრი რეჟიმიდან საერთო რეჟიმზე შეიძლება მხოლოდ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას.

4. თუ მსჯავრდებული გადაყვანილ იქნა საერთო რეჟიმზე, მაგრამ არღვევს სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესს, იგი შეიძლება დაბრუნებული იქნეს მკაცრ რეჟიმში.

ÈÀÅÉ # 16 - ÀÒÀÓÒÖËßË ÏÅÀÍÈÀ ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈÉ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀ

ÌÖáËÉ # 82 - ÀÒÀÓÒÖËßË ÏÅÀÍÈÀ ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ Ì Ï ÈÀÅÓÄÁÉÓ ÓÀÄÒÈ Ï ÐÉÒ ÏÁÄÁÉ

თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, რომელთაც განაჩენის გამოტანის დროისათვის არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, მოათავსებენ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.

ÌÖáËÉ # 83 - È Ï ÈáÌÄÔÉÃÀÍ ÈÅÒÀÌÄÔ ßËÀÌÃÄ ÀÒÀÓÒÖËßË ÏÅÀÍÈÀ ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈÉ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀ

1. არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანები, ამასთან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს ათავსებენ სხვა მსჯავრდებულთაგან განცალკევებით.

2. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება იყოფა დახურულ, ნახევრად ღია და ღია რეჟიმის ბლოკებად. შესაბამის რეჟიმს, რომელშიც არასრულწლოვანმა სასჯელი უნდა მოიხადოს, აღგენს აღმინისტრაცია კლასიფიკაციის ცენტრის დასკვნის საფუძველზე.
/კანონის მე-100 მუხლი 'კანონის ამოქმედება' - ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან/.

3. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების სხვა პრინციპები განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

4. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან ჰქონდეს თვეში არა უმეტეს ოთხი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა.

5. კარგი ყოფაქცევისა და სწავლის შემთხვევაში, სასჯელის ვადის ერთი მეოთხედის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მას ნება ეძლევა იქონიოს წელიწადში დამატებით ორი ხანგრძლივი პაემანი.

ÌÖáËÉ # 84 - ÀÒÀÓÒÖËßË ÏÅÀÍÈÀ ÀÙÌÆÒÃÄË ÏÁÉÈÉ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÃÀÍ ÓáÅÀ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ ÂÀÃÀÚÅÀÍÀ

1. ჩადენილი დანაშაულის საშიშროების, მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ქცევის გათვალისწინებით თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისათვის შეიძლება გადაყვანილ იქნეს საერთო ან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

2. თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებული შეიძლება დატოვებულ იქნეს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სასჯელის ვადის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლის ასაკის მიღწევისა. არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში დატოვების შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება ამ დაწესებულების რეჟიმი. დატოვების საკითხი წყდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ÈÀÅÉ # 17 - ÁÒÀËÃÄÁÖËÉÓ ÐÀÔÉÌÒÏÁÀÛÉ ÚÏ×ÍÉÓ ÓÀÄÒÈÏ ÐÉÒÏÁÄÁÉ

ÌÖáËÉ # 85 - ÁÒÀËÃÄÁÖËÉÓ ÐÀÔÉÌÒÏÁÀÛÉ ÚÏ×ÍÉÓ ÀÃÂÉËÉ

1. ბრალდებულს, რომელიც დაპატიმრებულია (შემდგომში _ პატიმარი) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ამყოფებენ საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში.
2. თუ პატიმარმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს განაჩენი, გასაჩივრებიდან არა უადრეს 5 დღისა და არა უგვიანეს 10 დღისა პატიმარი დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით გადაჰყავთ განსაზღვრული რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (გარდა საპყრობილისა) და მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მსჯავრდებულთაგან სრულ იზოლაციაში. თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ საჩივრდება, გამოიყენება ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პატიმარზე ვრცელდება ამ კანონით მისთვის დადგენილი პატიმრობაში ყოფნის საერთო პირობები, მიუხედავად იმ სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმისა, სადაც მოთავსებულია პატიმარი.
4. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 86 - ÐÀÔÉÌÒÏÁÀÛÉ ÚÏ×ÍÉÓ ÓÀÄÒÈÏ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. საპყრობილის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონით დადგენილ ნორმებს.

2. პატიმარი იმყოფება სადღეღამისოდ ჩაკეტილ საკანში. გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ მითითება მისცენ საგამოძიებო იზოლატორის აღმინისტრაციას ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეზე ბრალდებულთა (განსასჯელთა) ცალ-ცალკე ყოფნისა და ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის შესახებ. ეს წესი შეიძლება გავრცელდეს სხვა ბრალდებულებზედაც (განსასჯელებზედაც) გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მოსამართლის ბრძანებით.

3. საპყრობილის აღმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ ცალ-ცალკე საკნებში მყოფ პირებს შორის არ იყოს ურთიერთობა. მათზე უნდა ხდებოდეს მუდმივი მეთვალყურეობა ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით.

ÌÖáËÉ # 87 - ÁÒÀËÃÄÁÖËÉÓ ÐÀÔÉÌÒÏÁÀÛÉ ÌÉÙÄÁÀ

1. საპყრობილეში მიღების დროს პატიმარი და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება. პატიმრის შემოწმებას ახდენს საპყრობილის იმავე სქესის თანამშრომელი.

2. საპყრობილეში მიღების დროს პირმა უნდა გაიაროს სამედიცინო კონტროლი, რომელსაც ატარებს საპყრობილის ექიმი. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხდება მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია.

3. საპყრობილის დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ ატყობინებს პატიმარს მის უფლებებსა და მოვალეობებს.

4. პირის პატიმრობაში მიღების შესახებ საპყრობილის დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს.

ÌÖáËÉ # 88 - ÐÀÔÉÌÒÉÓ ÂÀÃÀÚÅÀÍÀ

1. პატიმრის გადაყვანის წესს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

2. პატიმრის გადაყვანის შესახებ მისი მიმღები პირი დაუყოვნებლივ აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს.

ÌÖáËÉ # 89 - ÐÀÔÉÌÒÉÓ ÐÀÄÌÀÍÉ

1. პატიმარს (ბრალდებულს, განსასჯელს, ასევე ამ კანონის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პატიმარს) შეიძლება ყოველთვიურად მიეცეს არა უმეტეს ორი პაემნის უფლება. პაემნის თაობაზე დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს პაემნამდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

1'. ბრალდებულს პაემნის უფლებას აძლევს გამომძიებელი, პროკურორი. პაემნის მიცემაზე გამომძიებლის, პროკურორის დასაბუთებული უარი ბრალდებულს ეცნობება წერილობით 24 საათის განმავლობაში. უარის გასაჩივრების უფლება ბრალდებულს აქვს მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლო (მოსამართლე) საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს ზეპირი მოსმენის გარეშე, საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლის) გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

1". განსასჯელის, ასევე ამ კანონის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პატიმრის პაემნის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლის) გადაწყვეტილებით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლეს) გადაწყვეტილება გამოაქვს პროკურორის მიერ შუამდგომლობის დაყენებიდან (წარდგენიდან) არა უგვიანეს 48 საათისა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პატიმარს, რომლიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, თავისი ქვეყნის საკონსულოს ან ამ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება აქვს.

3. პატიმარს აქვს თავის დამცველთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება, რაც წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

4. პატიმრის პაემანს თვალყურს ადევნებს საპყრობილის თანამშრომელი, რომელიც უნდა ჩაერიოს პაემანში ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იგი, თუ პაემანი ზიანს აყენებს სისხლის სამართალწარმოებას.

5. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÌÖáËÉ # 90 - ÐÀÔÉÌÒÉÓ áÀÍÌ ÏÊËÄ ÂÀÈÀÅÉÓÖ×ËÄÁÀ

არსებით და გადაუდებელ პირად ან სამართლებრივ საქმეებზე, რაც მოითხოვს პატიმრის უშუალო მონაწილეობას, გამომძიებლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გასცეს პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლების ნებართვა სამი დღის ვადით. პატიმარზე ზედამხედველობისა და ბადრაგირების წესს განსაზღვრავს სასამართლო. ხანმოკლე გათავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება პატიმარს.

ÌÖáËÉ # 91 - ÐÀÔÉÌÒÄÁÉÓ ÌÉÌÀÒÈ ÂÀÌ ÏÚÄÍÄÁÓËÉ ÃÉÓÝÉÐËÉÍÖÒÉ ÆÄÌ ÏØÌÄÃÄÁÉÓ Ù Ï ÍÉÓÞÉÄÁÀÍÉ

1. საპყრობილის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევა იწვევს შემდეგი სახის დისციპლინურ პასუხისმგებლობას:

ა) საყვედურს;

ბ) კარცერში გადაყვანას ვადით ათ დღემდე.

2. პატიმრის მიმართ დისციპლინური სასჯელი არ აღსრულდება, თუ იგი არ აღსრულდა ერთი თვის განმავლობაში დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან.

ÌÖáËÉ # 92 - ÐÀÔÉÌÒÉÓ ÓÀÐÚÒÏÁÉËÄÛÉ ÚÏ×ÍÉÓ ÐÉÒÏÁÄÁÉ

1. პატიმრებს, რომლებიც იმყოფებიან საპყრობილეში, ნება ეძლევათ:

ა) საკუთარი სახსრებით შეიძინონ დამატებითი კვების პროდუქტები იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით;

ა') ბანდეროლებითა და ამანათებით მიიღონ კვების პროდუქტები ადმინისტრაციის კონტროლით, გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა;

ბ) ქვეოუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა;

გ) იქონიონ მიმოწერა ან სატელეფონო საუბარი მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით, საკუთარი ხარჯებით;

დ) ისარგებლონ პრესით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნებითა და ჟურნალებით. ადმინისტრაციის ნებართვით იქონიონ რადიო ან ტელევიზორი.

1'. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია პატიმარს მისცეს სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

2. პატიმრის გათავისუფლება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. პატიმრობის მოხდის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით.

ÌÖáËÉ # 92' - ÐÀÔÉÌÒÉÓ ÓÀÄÒÈÏ ×ÉÆÉÊÖÒÉ ÌÃÂÏÌÀÒÄÏÁÉÓÀÈÅÉÓ áÄËÉÓ ÛÄßÚÏÁÀ

პატიმარს, რომელიც რეჟიმის ან სხვა გარემოებათა გამო არ შეიძლება რეგულარულად გამოყვანილ იქნეს გასასეირნებლად, უნდა მიეცეს ჰაერზე ყოფნის ნება დღეში არანაკლებ ერთი საათისა.

ÌÖáËÉ # 92" - ÐÀÔÉÌÒÉÓ ÓÀÌÄÃÉÝÉÍÏ ÛÄÌÏßÌÄÁÉÓ ÓÀÅÀËÃÄÁÖËÏ ßÄÓÉ

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პატიმრის ყოველი გაყვანისას და შემოყვანისას (გარდა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიზნით პატიმრის გაყვანისა და შემოყვანისა) სავალდებულოა პატიმრისათვის სამედიცინო შემოწმების ჩატარება. შემოწმების შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას.

ÈÀÅÉ # 18 - ÓÀÆÏÂÀÃÏÄÁÒÉÅÉ ÊÏÍÔÒÏËÉ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÀÛÉ

ÌÖáËÉ # 93 - ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÊÏÌÉÓÉÀ

1. საზოგადოებრივ კონტროლს სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე ახორციელებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელშიც შედიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები. სასჯელაღსრულების დაწესებულებების მუშაკები ამ კომისიის შემადგენლობაში არ შედიან.

2. კომისიის ამოცანებს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა მსჯავრდებულთა განთავსების, სწავლების, მუშაობის, კვების, სამედიცინო მომსახურების, მათზე ზედამხედველობის განხორციელების და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტაში.

3. კომისიას ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას უფლება აქვს შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს.

4. კომისია იუსტიციის მინისტრსა და დეპარტამენტის თავმჯდომარეს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

5. კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი, აგრეთვე უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც

ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.

ÌÖáËÉ # 94 - ÒÄËÉÂÉÖÒÉ ÏÒÂÀÍÉÆÀÝÉÉÓ ßÀÒÌÏÌÀÃÂÄÍËÄÁÈÀÍ ÖÒÈÉÄÒÈÏÁÀ

ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას პირობები მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დაწესებულების ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში შეიძლება იმყოფებოდეს ეკლესიის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახური.

ÈÀÅÉ # 19 - ÖÛÉÛÒÏÄÁÉÓ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÀÍÉ ÃÀ ÓÀÓãÄËÀÙÓÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄÓÄÁÖËÄÁÉÓ ÌÖÛÀÊÉÓ ÌÉÄÒ ÝÄÝáËÓÀÓÒÏ ËÉ ÉÀÒÀÙÉÓ ÂÀÌÏÚÄÍÄÁÉÓ ÓÀ×ÖÞÅÄËÉ

ÌÖáËÉ # 95 - ÖÛÉÛÒÏÄÁÉÓ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÀÍÉ, ÒÏÌËÄÁÉÝ ÂÀÌÏÉÚÄÍÄÁÀ ÐÀÔÉÌÒÄÁÉÓ ÌÉÌÀÒÈ

1. პატიმრების მიმართ დასაშვებია ხელბორკილების ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება, თუ ისინი ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეებს, შმაგობენ ან ძალმომრეობენ გარშემომყოფთათვის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

2. არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთა, აგრეთვე ქალთა მიმართ დამაწყნარებელი პერანგი არ გამოიყენება.

3. თუ პატიმარი თავს დაესხმება ან ჩაიდენს სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც ემუქრება სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის სიცოცხლეს, დასაშვებია სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება კანონით დადგენილი წესის დაცვით.

4. პატიმრობიდან გაქცევის შემთხვევაში გამონაკლისი ღონისძიების სახით დასაშვებია სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. ქალებისა და არასრულწლოვანთა გაქცევის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

5. უშიშროების ღონისძიებანი წესრიგდება ამ კანონითა და სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით.

6. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უშიშროების ღონისძიებებისა და შინაგანაწესის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ დაწესებულების დირექტორს.

7. ნებისმიერი სახის უშიშროების ღონისძიების გამოყენების შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობამ ამავე დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან ერთად უნდა ჩაატაროს პატიმრის სამედიცინო შემოწმება.

ÌÖáËÉ # 96 - ÖÛÉÛÒÏÄÁÉÓ ÃÀÌÀÔÄÁÉÈÉ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÄÁÉÓ ÂÄÂÌÀ

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობებისას და ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტი თავდასხმის, გაქცევისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით შეიმუშავებს უშიშროების დამატებითი ღონისძიებების გეგმას, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ÊÀÒÉ # 3 - ÂÀÒÃÀÌÀÅÀËÉ ÃÄÁÖËÄÁÀÍÉ

ÈÀÅÉ # 20 - ÊÀÍÏÍÉÓ ÀÌÏØÌÄÃÄÁÉÓ ÙÏÍÉÓÞÉÄÁÀÍÉ

ÌÖáËÉ # 97 - ÀÌ ÊÀÍÏÍÉÈ ÂÀÍÓÀÆÙÅÒÖËÉ ÀØÔÄÁÉÓ ÌÉÙÄÁÉÓ ÅÀÃÀ

1. 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემულ იქნეს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის შესახებ";

ბ) იუსტიციის მინისტრის ბრძანება:

ბ.ა) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების, ხარჯთაღრიცხვისა და მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

ბ.ბ) საერთო რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
ბ.გ) მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
ბ.დ) საპყრობილის რეჟიმის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;
ბ.ე) არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
ბ.ვ) სპეციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
ბ.ზ) სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
ბ.თ) სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეთა მომზადებისა და ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
ბ.ი) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ;
ბ.კ) მსჯავრდებულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებისა და განცალკევებით მოთავსების წესის შესახებ;
ბ.ლ) მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის შესახებ;
ბ.მ) მსჯავრდებულთა სოციალური სამსახურის შესახებ;
ბ.ნ) მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრის შესახებ;
ბ.ო) სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიის შესახებ;
ბ.პ) სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებით დატოვების წესის შესახებ;
ბ.ჟ) პატიმრობის მოხდის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;
ბ.რ) პატიმრის გადაყვანის წესის შესახებ;
გ) იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ;
დ) იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლების მინისტრის ერთობლივი ბრძანება მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ.
2. იუსტიციის მინისტრმა 2006 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს:
ა) "მსჯავრდებულისა და პატიმრის სპეციალური ტანსაცმლის ფორმის დამტკიცების შესახებ" ბრძანების გამოცემა;
ბ) "სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბრძანების გამოცემა.
3. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნამდე სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე სასამართლოს წარდგინებით მიმართავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

ÌÖáËÉ # 98 - ÉÖóÔÉÝÉÉÓ ÓÀÌÉÍÉóÔÒÏÓ ÌÏÅÀËÄÏÁÀ ÀÌ ÊÀÍÏÍÉÈ ÂÀÍóÀÆÙÅÒÖËÉ ÃÀßÄóÄÁÖËÄÁÄÁÉÓ ÀÌÏØÌÄÃÄÁÀÌÃÄ

ამ კანონით განსაზღვრული სასჯელაღსრულების დაწესებულებების ამოქმედებამდე იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს მოსამსახურეთა მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ÌÖáËÉ # 99 - ÉÖóÔÉÝÉÉÓ ÓÀÌÉÍÉóÔÒÏÓ ÌÌÀÒÈÅÄË ÏÁÉÓ Ó×ÄÒÏÛÉ ÂÀÃÀóÖËÉ ÓÀóãÄËÀÙóÒÖËÄÁÉÓ ÏÒÂÀÍÏÄÁÉÓ ÌÏóÌÒÀáÖÒÄÄÁÉ

1. სასჯელაღსრულების ორგანოების მოსამსახურეებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადასვლის შემდეგ უნარჩუნდებათ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება და შეღავათი.

2. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადასვლის შემდეგ სასჯელაღსრულების ორგანოების მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სპეციალური დაცვის სამსახურის ამოქმედებამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაცვას ახორციელებენ შინაგანი ჯარების სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაცვისა და საბადრაგო დანიშნულების სამხედრო ნაწილები.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადაცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ÌÖáËÉ # 99' - ÛÄÆÙÖÃÅÀ ÓÀóãÄËÀÙóÒÖËÄÁÉÓ ÃÀßÄóÄÁÖËÄÁÀÛÉ ÁÀÍÃÄÒÏ ËÄÁÉóÀ ÃÀ ÀÌÀÍÀÈÄÁÉÓ ÌÉÙÄÁÀ-ÂÀÂÆÀÅÍÀÆÄ

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

ÊÀÒÉ # 4 - ÃÀóÊÅÍÉÈÉ ÃÄÁÖËÄÁÀÍÉ

ÈÀÅÉ # 21 - ÊÀÍ Ï ÍÉÓ ÀÌ ÏØÌÄÃÄÁÀ

ÌÖáËÉ # 100 - ÊÀÍ Ï ÍÉÓ ÀÌ ÏØÌÄÃÄÁÀ

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან, გარდა 33-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 69_72-ე მუხლებისა და 83-ე მუხლის მე-2 პუნქტისა.

2. ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის 69-72-ე მუხლები აგრეთვე 73-ე, 74-ე და 75-ე მუხლების პირველი პუნქტები ამოქმედდეს საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებისთანავე.

4. ამ კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კანონის 85-ე მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტები მოქმედებს 2007 წლის 1 იანვრამდე.

ÌÖáËÉ # 101 - ÞÀËÀÃÀÊÀÒÂÖËÉ Í Ï ÒÌÀÔÉÖËÉ ÀØÔÉ

ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს შრომა-გასწორების კოდექსი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., ¹12, მუხ. 202).

ცვლილებები შეიტანეს:

25.05.2007 - ცვლილება - # 4813-Iს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

29.06.2007 - ცვლილება - # 5114-რს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

27.10.2006 - ცვლილება - # 3630-IIს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

25.05.2006 - ცვლილება - # 3165-Iს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

28.04.2006 - ცვლილება - # 2942-Iს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

23.12.2005 - ცვლილება - # 2465-რს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

28.12.2005 - ცვლილება - # 2588-რს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

25.11.2005 - ცვლილება - # 2119-IIს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

23.06.2005 - ცვლილება - # 1755-რს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

20.04.2005 - ცვლილება - # 1351-Iს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

26.11.2004 - ცვლილება - # 619-IIს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

14.08.2003 - ცვლილება - # 2984-რს
საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

20.06.2003 - ცვლილება - # 2462-IIს
საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

06.06.2003 - ცვლილება - # 2348-IIს
საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

25.12.2002 - ცვლილება - # 1891-რს
საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

04.07.2002 - ცვლილება - # 1633-რს
"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

24.11.2000 - ცვლილება - # 622-Iს
საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

30.05.2000 - ცვლილება - # 333
საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

10.12.1999 - ცვლილება - # 70-Iს
საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

08.09.1999 - ცვლილება - # 2361
საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე